

საქართველოს კანონი

„საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ“

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (პარლამენტის უწყებანი, №13-14, 8.04.1998, გვ. 31) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატებები:

1. 28-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 322¹ 344-ე ან 362-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებები ჩადენილია პირის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143¹ ან/და 143² მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში დაზარალებულად ყოფნის გამო.“.

2. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 37³ მუხლი:

„მუხლი 37³. პროკურორის სარჩელი ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებულ პირად ცნობის თაობაზე

თუ ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებულ პირს მიმართ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება ითვალისწინებს ჯარიმას, ან ქონების ჩამორთმევას, და მსჯავრდებულ პირს მიმართ ვერ ხერხდება აღსრულება, პროკურორს უფლება აქვს აღძრას სარჩელი პირის ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებულ პირად ცნობის თაობაზე.“.

3. 56-ე მუხლის მე-2 ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჟ¹“ ქვეპუნქტი:

„ჟ¹) ამ კოდექსის 37³ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში აღძრას სარჩელი პირის ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებულ პირად ცნობის თაობაზე“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი